



მირანდა ერემაძე

თბილისის სააპელაციო სასამართლოს უვადო მოსამართლე

აკადემიური საქმიანობა და
გამოვლენილი თვისებები/შედეგა

2

1999–2005 წლებში მირანდა ერემაძე მუშაობდა თბილისის საოლქო სასამართლოში მოსამართლის თანაშემწედ. 2006–2016 წლებში სა-მოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებდა ჯავის, მცხეთის და თბილისის საქალაქო სასამართლოებში. 2016 წელს განწესდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლედ 3 წლის ვადით, ხოლო 2017 წლის 20 ოქ-ტომბრიდან უვადოდ არის დანიშნული იმავე პოზიციაზე.

პროფესიულ საქმიანობაში
გამოვლენილი გადაცდომები
(დისციპლინური წარმოება,
პროფესიული ეთიკა)

9

დანიშნულებები და პროფესიული
საქმიანობისთვის მინიჭებული
პილდოები / სტიპენდიები

10

კანონთან კონფლიქტი,
ინტერესთა კონფლიქტი

11

კანდიდატის საპროექტოობები /
კორიციები და შედეგა

12

კანდიდატის ფინანსური
ვალდებულებები და შემოსავლები

18

1

კანდიდატის პროფესიული/ აკადემიური საქმიანობა და გამოვლენილი თვისებები/ქცევა

1. გადაწყვეტილებები, განსხვავებული აზრი, სასამართლო წარდგინებები

1.1. სამართლებრივად საინტერესო ან პრეცედენტული გადაწყვეტილებები

სამართლებრივი საკითხი: ადმინისტრაციული ორგანოდან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა; ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვის საფუძველი.

ფაქტები: ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა“ საქართველოს იუსტიციის სამინისტროსგან გამოითხოვა ინფორმაცია სამინისტროს საქმიანობის შესახებ, მათ შორის, 2015 წელს ელექტრონული ფოსტით სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გაგზავნილი და მიღებული წერილების ასლები. სამინისტრომ ინფორმაცია არ გასცა იმ საფუძველით, რომ ელექტრონული ფოსტა არ წარმოადგენდა ოფიციალურ დოკუმენტს და, შესაბამისად, მისი გაცემის ვალდებულება სამინისტროს არ ჰქონდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა სამინისტროს პოზიცია და გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ სამინისტროს ამ ინფორმაციის შენახვის ვალდებულება არ ჰქონდა, რადგან იგი არ ექცეოდა ოფიციალური დოკუმენტის განმარტებაში.

2016 წლის 27 დეკემბერს მოსამართლე მირანდა ერემაძემ არ დააკმაყოფილა ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ სააპელაციო საჩივარი და, შესაბამისად, აპელანტს არ მიეცა შესაძლებლობა მიეღო მოთხოვნილი ინფორმაცია.

საქმის მნიშვნელობა: ამ საქმეში სასამართლოს პირველად მოუწია მსჯელობა, რამდენად წარმოადგენს საჯარო უწყების წარმომადგენელთა ელექტრონული მიმოწერა ოფიციალურ დოკუმენტს და, შესაბამისად, რამდენად ექვემდებარება ასეთი მიმოწერა საჯარო ინფორმაციის ღიაობის კანონმდებლობით დადგენილი წესს.

გადაწყვეტილება:

- სასამართლომ მიიჩნია, რომ ელექტრონული ფოსტა წარმოადგენდა არაფორმალური კომუნიკაციის საშუალებას. მოსამართლემ მიუთითა, რომ სამინისტროს ხელმძღვანელის ან უფლებამოსილი პირის მიერ სამსახურებრივი ელფოსტიდან გაგზავნილი და მიღებული მიმოწერა დაცული იყო პირადი ცხოვრების კონსტიტუციური უფლებით. ამ საფუძველით, მოსარჩელეს შეეზღუდა ამგვარი კომუნიკაციის შინაარსზე ხელმისაწვდომობა.
- კერძოდ, მოსამართლემ განმარტა: „ელექტრონული ფოსტა, თავისი არსით, არაფორმალური კომუნიკაციის საშუალებაა და წარმოადგენს დროებით ჩანაწერს, რომელიც გამოიყენება შუალედური ინფორმაციის ურთიერთგაცვლის მიზნით და მასში გადაწყვეტილებები არ არის დაცული“.

- მოსამართლე არ ასაბუთებს თუ რაზე დაყრდნობით მიიჩნია სასამართლომ, რომ საჯარო ინფორმაცია არის მხოლოდ დასრულებული, მიღებული გადაწყვეტილებები და არა შუალედური ინფორმაციის მიმოცვლა ან გადაწყვეტილების მიღების პროცესის ამსახველი კომუნიკაცია.

შენიშვნა: კანონმდებლობის თანახმად, **საჯარო ინფორმაცია** განმარტებულია, როგორც „ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია“.

აღსანიშნავია, რომ 2017 წლის 14 სექტემბერს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, აღნიშნულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გაუქმდა და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება.¹

უზენაესმა სასამართლომ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე მითითებით, არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა ელფოსტის არაფორმალურ კომუნიკაციად მიჩნევის თაობაზე; ასევე აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება.²

სამართლებრივი საკითხი: ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ვადაგასული პირადობის მოწმობის შემცველი დოკუმენტის გამოცემა.

ფაქტები: 2016 წლის 20 სექტემბერს მოსამართლე მირანდა ერემაძემ, თბილისის სააპელაციო სასამართლოში განიხილა ვადაგასული პირადობის მოწმობის საკითხი, სადაც მოსარჩელე ითხოვდა მისი მოქმედების ვადის გაგრძელებას დავის დასრულებამდე. საქმე ეხებოდა სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“ საჩივრის საფუძველზე თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებას, რითაც მას დაევალა ზემოთ მითითებულ საკითხზე რეაგირება.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინება, რომლითაც დაკმაყოფილდა ნ.ს.-ის მოთხოვნა და მის პირადობის მოწმობას გაუგრძელდა ვადა სასამართლოში დავის დამთავრებამდე.

საქმის მნიშვნელობა: ამ საქმეში სასამართლოს მოუხდა მსჯელობა საკითხზე, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით პირდაპირ არ არის მოწესრიგებული.

გადაწყვეტილება:

- მოსამართლის დასაბუთება საკითხის სამართლებრივი შეფასების ნაწილში წინააღმდეგობრივია. დასაბუთების ერთ ნაწილში მოსამართლე უთითებს, რომ სადავო საკითხის მოწესრიგებისას სასამართლომ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს მატერიალური კანონის ბუსტი დაცვით, მეორე ნაწილში კი პირველი ინს-

¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე Nბს-286-284(კ-17)

² სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილებაში მიუთითა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება (N2/3/364) საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე რუსუდან ტაბატაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

ტანციის სასამართლოს უთითებს ზემოაღნიშნულის უზრუნველსაყოფად ნორმათა განმარტების მიზნობრივი მეთოდის გამოყენებაზე.

შენიშვნა: ნორმის ტელეოლოგიური (მიზნობრივი) განმარტება გამოიყენება მაშინ, როცა მატერიალური კანონი ნათლად არ აწესრიგებს სადავო საკითხს და, შესაბამისად, კანონის ზუსტი დაცვა შეუძლებელია.³

სამართლებრივი საკითხი: მშენებლობის ნებართვა სარეკრეაციო ზონაში გაზრდილი კოეფიციენტის⁴ ფარგლებში; აქტების კანონიერება და ბათილობის საფუძვლები.

ფაქტები: ა(ა)იპ „ასოციაცია მწვანე ალტერნატივამ“ თბილისის საქალაქო სასამართლოში წარადგინა სარჩელი, რომელშიც სადავოდ მიჩნევდა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შპს „ტიფლის კოსტავასა“ და შპს „გრაალი“-ს მიმართ გამოცემული აქტების კანონიერებას. სადავო აქტებით, შპს „ტიფლის კოსტავასა“ და შპს „გრაალს“ უფლება მიეცათ ვაკის პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე, რომელსაც სარეკრეაციო ზონის სტატუსი აქვს, აეშენებინათ სასტუმრო გაზრდილი კოეფიციენტის ფარგლებში.

2016 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებით, მოსამართლემ სარჩელი დააკმაყოფილა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი თბილისის მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის 2013 წლის 20 სექტემბრის ბრძანება და თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურს დაევალა, გამოეცა ახალი აქტი საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და ურთიერთშეჯერების შემდეგ.

საქმის მნიშვნელობა: სარეკრეაციო ზონის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

გადაწყვეტილება:

- მოსამართლემ, მტკიცებულებების გამოკვლევის და მხარეთა ახსნა-განმარტების მოსმენის შემდგომ, დაადგინა, რომ არქიტექტურული პროექტით გათვალისწინებული შენობის კონტური მოქცეული იყო წითელ ხაზებში⁵, პროექტის დეტალები კი გადადიოდა საზოგადოებრივ სივრცეში. აღნიშნულის საფუძველზე, მან მშენებლობის ნებართვა მიიჩნია კანონთან შეუსაბამოდ და დაადგინა მისი ბათილობა.
- გადაწყვეტილებაში მოცემული მსჯელობა ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლებას და სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, თავისი საქმიანობით გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების გამორიცხვის ან მინიმუმამდე დაყვანის მიზნით განახორციელოს შესაბამისი ქმედებები;
- მოსამართლემ იმსჯელა აღნიშნულ საქმეში კერძო და საჯარო ინტერესებს შორის ბალანსის დაცვის აუცილებლობაზე და სახელმწიფოს პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულების როლზე ამ პროცესში. მან განმარტა: „...სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულებაა, თავი შეიკავოს ისეთი მოქმედებისგან, რომელიც გამოიწვევს საკუთრების უფლებაში ჩარევას. ამავე დროს იგი პოზიტიურადაა ვალდებული, შექმნას ისეთი

³ გიორგი ხუბუა „სამართლის თეორია“, თბილისი, 2004 წ., გვ. 184-185

⁴ მერიის გადაწყვეტილებით, აღნიშნულ ტერიტორიაზე გაზრდილ იქნა მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი – კ1, რომელიც განსაზღვრავს, კონკრეტული მიწის ნაკვეთის ტერიტორიის მაქსიმუმ რა ნაწილზეა დასაშვები შენობა-ნაგებობების განთავსება. აღნიშნულ შემთხვევაში, ტერიტორიის კოეფიციენტი კ1=0.2-დან გაზრდილ იქნა 0.5-მდე. გადაწყვეტილებით შპს „ტიფლის კოსტავა“-სა და შპს „გრაალი“-ს მიეცათ უფლება სასტუმროს ასაშენებლად გამოეყენებინათ 1431.5 კვ.მ. ნაცვლად 572.6 კვ.მ-სა.

⁵ განაშენიანების რეგულირების ხაზ(ებ)ი (წითელი ხაზები) – არის მიწის ნაკვეთისთვის (ნაკვეთებისათვის) ქალაქმშენებლობითი დოკუმენტით დადგენილი წარმოსახვითი მიჯნა, რომლის მიღმაც უნდა განთავსდეს შენობა-ნაგებობები;

სამართლებრივი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სამართლიან ბალანსს, საზოგადოების წევრებს შორის“.

- გადაწყვეტილებაში მოსამართლე მსჯელობს განაშენიანების კოეფიციენტების როლზე, მათი გაზრდის შესაძლებლობის საკითხსა და რეკრეაციულ ზონაში მათი ცვლილების დასაბუთების აუცილებლობაზე. აღნიშნული საკითხების სამართლებრივმა შეფასებამ, საფუძველი დაუდო სადავო საკითხის იმგვარად გადაწყვეტას, რამაც გამოავლინა ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან აქტის გამოცემისას დარღვევების არსებობა.
- მოსამართლის მიერ მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი სწორად იქნა გადანაწილებული. კერძოდ, ერთ-მანეთისგან გამიჯნულია მოსარჩელის ვალდებულება, მატერიალურად დაასაბუთოს სარჩელი და ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება – ამტკიცოს მის მიერ გამოცემული აქტების კანონიერება. მოსამართლის განმარტებით: „[...] მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული დაამტკიცოს, რომ ადმინისტრაციული აქტი გამოცემულია ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე და მისი გამოცემით არ დარღვეულა მოსარჩელის კანონიერი უფლებები, რაც იმას ნიშნავს, რომ კანონის მოთხოვნა [...] ათავისუფლებს მოსარჩელეს მტკიცების ტვირთისგან, რომ სადავო აქტი ითვლება არამართლზომიერად იქამდე, ვიდრე მისი გამოცემა არ დაამტკიცებს მის მართლზომიერებას“.
- გადაწყვეტილებაში სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გადაწყვეტილების მიღებისას იმოქმედოს თანაზომიერების და კანონიერების პრინციპებზე დაყრდნობით.
- „სასამართლოს მოსაზრებით, დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენება განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს, რათა ადგილი არ ჰქონდეს პროცედურულ დარღვევებს, კანონის ფარგლების გაცდენას, რასაც საბოლოო ჯამში, შესაძლოა, შედეგად მოჰყვეს საკუთრების ხელყოფა, კანონიერების, სუბიექტის უფლებების დარღვევა“.
- მოსამართლემ დაადგინა: საქმეში ჩართულ სამშენებლო კომპანიებს – შპს „ტიფლის კოსტავასა“ და შპს „გრაალს“ აქტის მიმართ გააჩნდათ კანონიერი ნდობა, რომელიც უკანონო აქტის ბათილობას აფერხებდა. ამის მიუხედავად, კანონმდებლობა ითვალისწინებს კანონიერი ნდობის გამომრიცხველ გარემოებებს. გადაწყვეტილებაში გამოკვლეულია აქტის ადრესატების (შპს „ტიფლის კოსტავასა“ და შპს „გრაალს“) კანონიერი ნდობის გამომრიცხველი საფუძველები (თუ ადმინისტრაციული აქტი არღვევს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირთა კანონიერ უფლებებს ან ინტერესებს). მოსამართლე მიუთითებს, რომ ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დაუცველობის შემთხვევაში შესაძლოა სახეზე იყოს სხვა პირთა კანონიერ უფლებებისა და ინტერესების არსებითი დარღვევა.
- ერთ-ერთ სადავო საკითხს წარმოადგენდა საკონსულტაციო კომისიისა⁶ და ადმინისტრაციული ორგანოს (მერიას) შორის საბოლოო გადაწყვეტილების მიღების გამოკვეთა. სასამართლომ განმარტა: „კომისიის დასკვნა სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საკითხზე ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან შეფასების საგანი უნდა იყოს და არა გადაწყვეტილების მიღების ერთადერთი, უპირობო და სავალდებულო საფუძველი.“

სამართლებრივი საკითხი: სასამართლო სხდომის ოქმში ცვლილების შეტანა

ფაქტები: თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე მირანდა ერემაძის მიერ 2009 წლის 24 ივნისს მიღებულ იქნა განჩინება ოქმზე შენიშვნების შესახებ, რის საფუძველზეც, ივანე თამაზაშვილის საქმეზე 2009 წლის 15 ივნისის სასამართლო სხდომის ოქმში შევიდა შესწორება.

⁶ ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისია (ახალი რედაქციით „საბჭო“) წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბრძანებით შექმნილ საკონსულტაციო ორგანოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის სამშენებლო საკითხებში.

ივანე თამაზაშვილის ადვოკატმა, განცხადებით მიმართა სასამართლოს, სადაც უთითებდა, რომ სხდომის ოქმში დაშვებული იყო უზუსტობა, კერძოდ არ იყო მითითებული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენის და სასამართლო სხდომაზე მყოფი პოლიციელის ახსნა-განმარტება იმის შესახებ, რომ „**ივანე თამაზაშვილმა თითქმის ჩაიდინა სამართალდარღვევა**“.

სასამართლოს მიერ მიჩნეულ იქნა, რომ საქმის მასალის შესწავლისა და განცხადების განხილვის შედეგად, ოქმის შემდგენმა და სასამართლო სხდომაზე მყოფმა პოლიციელმა მისცა ახსნა-განმარტება იმის შესახებ, რომ „**ივანე თამაზაშვილს თითქმის გადაკეტილი ჰქონდა გზის სავალი ნაწილი**“.

საქმის მნიშვნელობა: საქმე მნიშვნელოვანია, ვინაიდან აჩვენებს, რომ სასამართლო სხდომის ოქმში სწორად არ ჩაიწერა საქმისათვის არსებითად მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოება, ხოლო როდესაც დაცვის მხარის მოთხოვნით ოქმი შესწორდა, ამან მაინც ვერ მოახდინა გავლენა მოსამართლის გადაწყვეტილებაზე.

გადაწყვეტილება:

- განჩინებით გამოყალიბებული ფორმულირება არათუ არ ადგენს სამართალდარღვევის ფაქტს, არამედ ამტკიცებს საპირისპიროს, რომ ივანე თამაზაშვილს პრაქტიკულად არ ჰქონია გზის სავალი ნაწილი გადაკეტილი. ამის მიუხედავად, მოსამართლემ არ გაითვალისწინა აღნიშნული გარემოება და ივანე თამაზაშვილი ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად.

შენიშვნა: აღსანიშნავია, რომ ამ საქმის გამო მოსამართლე ერემაძე უფლებადაცვითი ორგანიზაციის ანგარიშშიც მოხვდა. კერძოდ, ადამიანის უფლებათა ცენტრის 2009 წლის სასამართლო მონიტორინგის ანგარიშში აღნიშნულია შემდეგი:

მოსამართლის განაჩენი კი ერთადერთ გარემოებას დაეფუძნა – ინსპექტორ-გამომძიებლის, ავთანდილ ფოლადაშვილის განცხადებას, რომ ივანე თამაზაშვილმა „თითქმის ჩაიდინა სამართალდარღვევა... მოსამართლე მირანდა ერემაძეს სასამართლო პროცესზე არ დაუსვამს არც ერთი შეკითხვა არც მის მიერ შემდეგში ბრალდებულად ცნობილი ივანე თამაზაშვილისათვის, არც ერთადერთი მოწმისთვის.

სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას კი არ გაუთვალისწინებია არც თამაზაშვილის და არც მისი მოწმის ჩვენებები, არც თამაზაშვილის დაცვის მიერ წარმოდგენილი ვიდეომასალა, რომელშიც ასახულია, თუ როგორ უსწორდებიან პოლიციელები აქციის მონაწილეებს ყოველგვარი მოთხოვნის, ბრძანების ან მითითების გარეშე.⁷

1.2. გახმაურებული საქმეები

სამართლებრივი საკითხი: კონსტიტუციით გარანტირებული შეკრების თავისუფლება, პირის ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნობა, მტკიცების სტანდარტი.

ფაქტები: 2009 წლის 09 მარტს, მოსამართლე მირანდა ერემაძემ განიხილა სამოქალაქო აქტივისტის, დაჩი ცაგურის საქმე. დაჩი ცაგურია მონაწილეობდა პარლამენტის წინ მიმდინარე აქციაში. დადგენილების თანახმად, მან გადაკვეთა გზის სავალი ნაწილი და ავტომობილების მოძრაობა შეაფერხა, ხოლო შემდეგ – არ დაემორჩილა პოლიციელის კანონიერ მოთხოვნას, გადასულიყო გზის სავალი ნაწილიდან და

⁷ ადამიანის უფლებათა ცენტრის 2009 წლის ანგარიში

უცნობურ სიტყვები გამოიყენა მათი მისამართით. მოსამართლემ, დაჩი ცაგურია სამართალდამრღვევად ცნო და დააჯარიმა წვრილმანი ხულიგნობისა და პოლიციის კანონიერი ბრძანებისადმი დაუმორჩილებლობისთვის.

საქმის მნიშვნელობა: კანონი, რომლის საფუძველზეც პირი გასამართლდა, საბჭოთა პერიოდშია მიღებული, სამართალწარმოების პროცესში იგი ვერ უზრუნველყოფს სამართალდამრღვევად მიჩნეული პირის სათანადო საპროცესო გარანტიებით დაცვას, არ ითვალისწინებს უდანაშაულობის პრეზუმფციას და სხვ.; ეს კანონი იმაზე ნაკლები დაცვის სტანდარტს სთავაზობს სამართალდამრღვევად მიჩნეულ პირს, ვიდრე სისხლის სამართლის კანონმდებლობა – ბრალდებულებს.⁸ ამ მოცემულობაში განსაკუთრებით დიდია მოსამართლის როლი, რათა მიღებული გადაწყვეტილება იყოს სამართლიანი და დასაბუთებული.

გადაწყვეტილება:

- სასამართლო სხდომა ჩატარდა იმავე დღეს, რა დღესაც პოლიციამ შეადგინა სამართალდარღვევის ოქმი, შესაბამისად, პირს ფაქტობრივად არ მიეცა სათანადო დრო და შესაძლებლობა მტკიცებულებების შესაგროვებლად და საკუთარი არგუმენტაციის ჩამოსაყალიბებლად.
- პროცესის განმავლობაში, დაჩი ცაგურიას მიეცა მხოლოდ 30 წუთი იმისთვის, რომ უზრუნველყო მისი ინტერესების დამცველის / წარმომადგენლის საქმეში ჩართვა.
- დადგენილებაში მითითებულია: „განხილვა რა მოცემული სამართალდარღვევის ოქმი და მასალები, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები, სასამართლო მიიჩნევს, რომ სამართალდარღვევის ფაქტი დადასტურებულია საქმეში არსებული მასალებით. შესაბამისად, დაჩი ცაგურია ცნობილი უნდა იქნეს ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად“. მოსამართლე არ განმარტავს, თუ კონკრეტულად რა მასალებსა და მტკიცებულებებზე დაყრდნობით მიიჩნია სამართალდარღვევის ფაქტი დადასტურებულად. ერთადერთი, რაზეც დადგენილება მიუთითებს, არის საქმეში წარმოდგენილი საპატრულო პოლიციის მიერ შედგენილი სამართალდარღვევის ოქმი და შეტყობინება. სხვა მტკიცებულებები არ ჩანს.
- დადგენილებაში ნახსენებია კონსტიტუციით გარანტირებული შეკრების თავისუფლება, თუმცა საქმე რეალურად არ არის განხილული ამ უფლების არსის გათვალისწინებით.
- დადგენილებაში მხოლოდ ვკითხულობთ: „მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია დემოკრატიული საზოგადოებისთვის. საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლებას, მაგრამ იგი არ არის აბსოლუტური უფლება და კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაძლოა შეიზღუდოს...“
- მოსამართლემ სრულყოფილად არ იმსჯელა უფლების მნიშვნელობაზე დემოკრატიულ საზოგადოებაში, უფლებით დაცულ სფეროზე, შეზღუდვის საფუძველებზე, არ არის მსჯელობა ბალანსზე რომელიც ხელისუფლებამ უნდა დაიცვას აქციის მონაწილეებისა და გზით მოსარგებლე სხვა პირების ინტერესებს შორის, ასევე არ არის მსჯელობა შეზღუდვის პროპორციულობაზე. ყველა ამ საკითხზე მსჯელობა და შეფასება კრიტიკულად მნიშვნელოვანი იყო საქმეზე დასაბუთებული და სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანისათვის.
- დადგენილებაში ვხვდებით მეტად პრობლემურ მსჯელობას შეკრების თავისუფლებაში ჩარევის სტანდარტებზე. „ხელისუფლება სარგებლობს შეფასების ფართო კრიტერიუმებით და უფლებამოსილია ლეგიტიმურად შეზღუდოს შეკრება თუ შეკრება შესაძლოა გადაიზარდოს საზოგადო არეულობაში“.

შენიშვნა: საქართველოს კანონმდებლობა, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არ ითვალისწინებს ხელისუფლების უფლებამოსილებას, წინასწარ, პრევენციულად შეზღუდოს შეკრების თავი-

⁸ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობა საქართველოში: ჩასატარებელი რეფორმის ხანგრძლივი მოლოდინი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (2018)

სუფლება იმ საფუძვლით, რომ იგი „შესაძლოა გადაიზარდოს საზოგადო არეულობაში“. შეკრების თავისუფლების შეზღუდვა გამართლებულია, თუ არსებობს შემდეგი გარემოებები: შეზღუდვა გათვალისწინებულია კანონით, ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს და პროპორციულია; აუცილებელია, დემოკრატიულ საზოგადოებაში სამივე ეს პირობა ერთობლივად იყოს მოცემული, რათა ლეგიტიმურად ჩაითვალოს სახელმწიფოს ჩარევა უფლებით დაცულ სფეროში.

- დადგენილებაში ასევე აღნიშნულია, თუ შეკრება შეიძლება გადაიზარდოს არეულობაში, ხელისუფლების მხრიდან „ასეთი ჩარევა არის აბსოლუტურად პროპორციული, რადგან იზღუდება შეკრება არა ზოგადად, არამედ ერთ კონკრეტულ ფაქტთან მიმართებაში“.

შენიშვნა: ჩარევის ლეგიტიმური საფუძვლის არსებობა ავტომატურად არ ნიშნავს ჩარევის პროპორციულობას. შესაძლებელია, ჩარევა იყოს გამართლებული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, მაგრამ იყოს არაპროპორციული. პროპორციულობა ფასდება სამი კრიტერიუმით: გამოყენებული ზომის გამოსადეგობა, აუცილებლობა და პროპორციულობა ვიწრო გაგებით (დაწესებული შეზღუდვა უნდა იყოს ლეგიტიმური მიზნის პროპორციული, რომლის დასაცავადაც ის დაწესდა). პროპორციულობა სახელმწიფოს ავალდებულებს, უფლებაში ჩარევისას ყველაზე ნაკლებ შემზღუდველი ჩარევის ფორმა აირჩიოს.⁹ სახელმწიფოს მოქმედების ლეგიტიმურობის შეფასებისას მოსამართლეს ყველაზე დიდი როლი სწორედ პროპორციულობის შეფასების ნაწილში ენიჭება.

სამართლებრივი საკითხი: სახელმწიფოს წარმომადგენლის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება, მტკიცების ტვირთი იძულებით დადებული გარიგების დროს.

ფაქტები: 2011 წელს ფონდი „კონსტანტას“ დამფუძნებელი ლევან ლებანიძე ცნობილ იქნა დამნაშავედ ფონდის ინტერესების საწინააღმდეგოდ ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში, გამორჩენის მიღების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. საქმეზე გაფორმდა საპროცესო შეთანხმება და მსჯავრდებულს განესაზღვრა ჯარიმა 12 მილიონი ლარის ოდენობით. ფონდმა „კონსტანტამ“ აიღო კრედიტი, რის სანაცვლოდაც დააგირავა ფონდ „კონსტანტას“ 100% წილი შპს „კონსტანტა პლუსში“. კრედიტის მიზნობრიობაში მითითებული იყო ლევან ლებანიძის ჯარიმის გადახდა.

მოგვიანებით, ფონდ „კონსტანტამ“ საჩივარი შეიტანა საქართველოს პროკურატურაში და განაცხადა, რომ გარიგება კრედიტის აღების თაობაზე მოხდა იძულებით, ასევე სარჩელი შეიტანა სასამართლოში და სამოქალაქო წესით დაიწყო დავა იძულებით დადებული გარიგების ბათილობის თაობაზე.

მნიშვნელობა: 2012 წელს ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, ათეულობით მოქალაქემ მიმართა საქართველოს პროკურატურას, ხოლო ნაწილმა – ასევე სასამართლოს. ისინი ითხოვდნენ, გამოძიებულიყო/სასამართლო წესით დადგენილიყო, რომ წინა ხელისუფლების პირობებში, სახელმწიფოს წარმომადგენელთა მხრიდან მათზე განხორციელდა სხვადასხვა სახის იძულება, რის გამოც შეეღობათ საკუთრების უფლება ან/და რიგი სხვა უფლებები. ათობით მოქალაქე დღესაც ითხოვს დარღვეული უფლებების აღდგენას. შესაბამისად, საქმე არის მნიშვნელოვანი არა მხოლოდ მომჩივანი მხარისთვის, არამედ მოქალაქეთა გაცილებით ფართო წრისათვის.

გადაწყვეტილება:

- სასამართლომ სრულყოფილად არ შეისწავლა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, არ უზრუნველყო მტკიცებულებათა სრული, ყოველმხრივი და ობიექტური შეფასება, უგულებელყო მნიშვნელოვანი საკითხები,

⁹ European Court of Human Rights, CASE OF MAKHMUDOV v. RUSSIA (Application no. 35082/04), 2007

რომელთა გათვალისწინებაც საქმეზე არსებით გავლენას მოახდენდა, მაგალითად: ჯარიმა, 12 მილიონი ლარი, ფონდმა გადაიხადა ერთი დღით ადრე, ვიდრე მის დამფუძნებელთან პროკურატურა გააფორმებდა საპროცესო შეთანხმებას, რომლის ფარგლებშიც მას ეს ჯარიმა დაეკისრა, ე.ი. ფონდის მიერ გადახდილი თანხა იყო ჯერ არდადებული შეთანხმების ფარგლებში დაკისრებული ჯარიმა, რაც, ბუნებრივია, აჩენს ეჭვებს;

- ამასთან, სასამართლომ არ დააკმაყოფილა მხარის მოთხოვნა, სასამართლოს გამოეთხოვა პროკურატურაში მიმდინარე გამოძიების მასალები. ასევე, საქმეში არსებობდა არაერთი მოწმის ჩვენება, რომელიც მიუთითებდა იძულების ფაქტებზე, თუმცა სასამართლომ მათი ნაწილი არ მიიჩნია, „უდავოდ“, ვინაიდან ეკუთვნოდა ფონდთან (მოსარჩელესთან) დაკავშირებულ პირებს. აღსანიშნავია, რომ მოპასუხეს (პროკურატურას) ეჭვი არ შეჰქონდა მოწმეთა სანდოობაში.

შენიშვნა: ტერმინები „უდავოდ“ და „სადავოდ“ გამოიყენება ფაქტებთან და არა მტკიცებულებებთან მიმართებაში, როგორც არის მაგ. მოწმის ჩვენება.

- სასამართლომ მიიჩნია, განსახილველი საქმის გარემოებები არ იძლეოდა „იმის მტკიცების უპირობო წინაპირობას“, რომ განხორციელდა იძულება. მსგავსი სტანდარტი არც კანონმდებლობით და არც სასამართლო პრაქტიკით ამ საქმემდე დადგენილი არ ყოფილა, სასამართლომ არ დაასაბუთა უზენაესი სასამართლოს მიერ, მათ შორის დიდი პალატის მიერ, დადგენილი სტანდარტიდან გადახვევის მართებულობა.¹⁰
- **სასამართლომ იძულების მტკიცების ტვირთი არასწორად გაანაწილა და სრულად დააკისრა მხოლოდ ერთ მხარეს – მოსარჩელეს** და სრულებით გაათავისუფლა მტკიცების ტვირთისგან პროკურატურა, რამაც არსებითი გავლენა მოახდინა გადაწყვეტილებაზე.
- მართალია, სასამართლომ მოიხილა უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა გარკვეულ საკითხებთან მიმართებით, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რიგი გადაწყვეტილებები, მან მაინც გვერდი აუარა საქმის ყველაზე კრიტიკულ საკითხთან მიმართებაში უზენაესი სასამართლოს მიერ მყარად დადგენილ პრაქტიკას, კერძოდ, მტკიცების ტვირთის საკითხს.
- სასამართლომ მიუთითა, რომ იძულების ფაქტი უნდა დაეფუძნოს „მხოლოდდამხოლოდ საქმეში არსებული ამგვარი გარემოებების ცალსახად, აშკარად დადგენილ მტკიცებულებათა ლოგიკურ და რეალურ ბმას“. თუმცა, არ განმარტა, რა ჩაითვლებოდა ასეთად.
- მსგავსი მიდგომით სასამართლომ ფაქტობრივად გამორიცხა შესაძლებლობა (როგორც მინიმუმ, შეუსაბამოდ რთული გახადა), სამოქალაქო წესით დადგინდეს იძულების ფაქტი სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული განაჩენის გარეშე.
- იმ პირობებში, როდესაც პირი დავობდა პროკურატურის განხორციელებულ იძულებაზე, სასამართლომ პროკურატურა დატოვა ერთადერთ უფლებამოსილ უწყებად, რომელსაც უნდა გამოეძიებინა საქმე და დაედგინა თავისივე ჩადენილი კანონდარღვევა; ამით სასამართლომ განსაკუთრებით რთულ ვითარებაში ჩააყენა მომჩივანი და პრაქტიკულად ილუზორული გახადა მისი უფლებები.

შენიშვნა: საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, სასამართლო დავებში, როდესაც სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მხარე სახელმწიფოა, განსაკუთრებით მაღალი სტანდარტით უნდა შემოწმდეს და შეფასდეს გარიგების „ძლიერი“ კონტრაჰენტის ქცევა/ქმედება... განსაკუთრებით მაშინ, როცა აშკარაა, რომ უმეტესწილად სწორედ სახელმწიფო იღებს სარგებელს გარიგებიდან, „სუსტი მხარის“ (კერძო პირის) ხარჯზე...¹¹

¹⁰ იხ. მტკიცების ტვირთი: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის პრაქტიკის ანალიზი, თბილისი 2018

¹¹ მტკიცების ტვირთი: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის პრაქტიკის ანალიზი, თბილისი 2018

...მტკიცების ტვირთი სახელმწიფოზე გადადის, თუკი მოსარჩელე კონკრეტულ ფაქტებზე მითითებით აცხადებს, რომ მასზე განხორციელდა იძულება. პრეზუმირებულია, რომ მასზე გამოიყენეს იძულება და სახელმწიფოს უბრუნდება მტკიცების ტვირთი, რომ იძულების ფაქტი არ არსებობდა; სახელმწიფომვე უნდა დაამტკიცოს, რატომ არის შეუძლებელი ამგვარი პრეზუმფციის დაშვება, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, გარიგების შინაარსის დეტალურ კვლევას საჭიროებს.¹²

1.3. უზენაესი / საკონსტიტუციო და საერთაშორისო / რეგიონალური სასამართლოების პრაქტიკის გამოყენება

კანდიდატმა ერთ-ერთ დავაში არასწორად გამოიყენა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება.¹³ სხვა საქმეებში გამოყენებულია რამდენიმე საერთაშორისო ხელშეკრულება და საერთაშორისო/რეგიონალური სასამართლოების პრაქტიკა.

ფონდ „კონსტანტას“ საქმეზე მოსამართლე მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რამდენიმე გადაწყვეტილებას, მათ შორის საქმეს „ჯლარკავა საქართველოს წინააღმდეგ.“¹⁴ აღსანიშნავია, რომ ამ საქმის მითითება არის მეტად შაბლონური პრაქტიკა საერთო სასამართლოების სისტემაში, სწორედ ამ საქმეს მიუთითებს შესწავლილი გადაწყვეტილებების უმრავლესობა, როდესაც მოსამართლე განიხილავს ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებულ უფლებასთან (სამართლიანი სასამართლო) დაკავშირებულ საკითხებს. აღსანიშნავია, ამ საქმეს მოსამართლეები მოიხმობენ იმის დასასაბუთებლად, რომ დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების ვალდებულება არ გულისხმობს „თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემის მოთხოვნას.“ თუმცა იმავდროულად, ხსენებული საქმის ამავე პარაგრაფში მითითებულია, რომ ეროვნული სასამართლოები ვალდებული არიან „საკმარისი სიზუსტით განსაზღვრონ მოტივები“, რომელთაც თავიანთ გადაწყვეტილებებში ეყრდნობიან. აღნიშნული უმნიშვნელოვანესი მითითება არც ერთ სხვა საქმეზე, სადაც შაბლონურად ხდება მითითება მოცემული გადაწყვეტილების, მათ შორის, არც ფონდ „კონსტანტას“ საქმეზე, სასამართლოს ციტირებული არ აქვს.

დამატებითი ინფორმაცია: საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატმა შესარჩევ კონკურსში მოსამართლეობის მირანდა ერემადისა და ილონა თოდუას მიერ გაკეთებული განაცხადების შეფასებისას გამოვლინდა, რომ შეკითხვაზე – რატომ არის მოსამართლედ მუშაობა თქვენთვის მნიშვნელოვანი და რა წარმოდგენა გაქვთ ზოგადად მოსამართლის სტატუსზე, ორივე მოსამართლემ იდენტური პასუხი გასცა, კერძოდ ორივე კანდიდატი კითხვაზე პასუხს იწყებს ზუსტად ერთი და იმავე ფრაზით:

„სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისთვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ძლიერ სასამართლო სისტემას, რომელიც უბრუნველყოფს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, კანონის უზენაესობისა და საჯარო წესრიგის დაცვას“.

¹² იგივე

¹³ 2017 წლის 14 სექტემბრის საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე Nბს-286-284(კ-17), გვ. 12.

¹⁴ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ჯლარკავა საქართველოს წინააღმდეგ (საჩივარი N7932/03) 2009 წ. პარ. 71.

2.

პროფესიულ საქმიანობაში გამოვლენილი გადაცდომები (დისციპლინური წარმოება, პროფესიული ეთიკა)

1. დისციპლინური წარმოება – არსებული საჩივრები

- კანდიდატის მიმართ სადისციპლინო კოლეგიის მიერ დისციპლინური სახდელი ან ზემოქმედების ლონისძიება გამოყენებული არ ყოფილა.

2. პროფესიული ეთიკის ნორმების სავარაუდო დარღვევა

- ეთიკის ნორმების დარღვევა არ ფიქსირდება.

3.

დანიშნულებები და პროფესიული საქმიანობისთვის მინიჭებული ჯილდოები / სტიპენდიები

1. კარიერული განვითარება

- 1994-1995 წლებში მირანდა ერემაძე იყო ფინანსთა სამინისტროს გამომცემლობის იურისტი, ხოლო 1999-2005 წლებში თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლის თანაშემწე.
- 2006 წელს მირანდა ერემაძე დაინიშნა ჯავის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ. 2007-2010 წლებში ის არის მცხეთის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე, საიდანაც 2008-2010 წლებში მივლინებული იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში. 2010 წელს მირანდა ერემაძე განწესდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ.
- 2016 წელს დაინიშნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლედ სამწლიანი ვადით. 2017 წელს კი სამწლიანი ვადის ამოწურვამდე, უვადოდ განწესდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში.
- 2016 წელს მირანდა ერემაძე იყო მოსამართლეთა ასოციაციის თავმჯდომარე.

4.

კანონთან კონფლიქტი, ინტერესთა კონფლიქტი

1. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევები / ჯარიმები, სასამართლო დავები

- კანდიდატი მირანდა ერემაძე ნასამართლევი არ ყოფილა.
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ფიქსირდება საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო, თუმცა განაცხადში კანდიდატი აღნიშნავს, რომ სამართალდარღვევის დროს მანქანას თავად არ მართავდა.
- 2015 წელს მირანდა ერემაძე იყო მოსარჩელე თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესში. დავის საგანს წარმოადგენდა ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა. მირანდა ერემაძის სარჩელი სასამართლომ დააკმაყოფილა.

2. პარტიული კუთვნილება, ინტერესთა კონფლიქტი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთან, კავშირი პოლიტიკოსებთან / გავლენიან ადამიანებთან

- მირანდა ერემაძე არ ყოფილა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი.
- მირანდა ერემაძის კავშირი პოლიტიკოსებთან/გავლენიან ადამიანებთან არ დგინდება.

5.

კანდიდატის საჯარო აქტივობები / კოზიციები და ქცევა

1. სოციალურ ქსელში დაფიქსირებული მოსაზრებები

კანდიდატ მირანდა ერემაძის პერსონალური ანგარიში რეგისტრირებულია სოციალურ ქსელ „Facebook“-ში, თუმცა იგი საჯარო აქტივობებში არ აფიქსირებს რაიმე სახის მოსაზრებებს საკუთარ გვერდზე.

სხვა ტიპის აქტივობებიდან აღსანიშნავია, რომ კანდადატს მოწონებული აქვს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის სერგო მეთოფიშვილის გაზიარებული ვიდეო¹, რომელშიც აღნიშნულია, რომ „მსოფლიოს 190 ქვეყანას შორის საქართველომ ბიზნესის კეთების მაჩვენებლით მე-6 ადგილი დაიკავა. ამ პოზიციით საქართველო უსწრებს ნორვეგიას, აშშ-ს და დიდ ბრიტანეთს“. აღნიშნულ ვიდეოს თან ერთვის სერგო მეთოფიშვილის კომენტარი: „ეს არის ყველაზე კარგი და დასაბუთებული პასუხი გიგაურის, ვერძეულის, სალაძის, ბენიძის და მათნაირი პოლიტიკოსების მიერ სასამართლოს მიმართებით შექმნილ და გავრცელებულ ფეიკ-ნიუსებზე, ფეიკ-კვლევებზე, ბინძურ ჭორებზე და თავხედურ თავდასხმებზე!“.

¹ პოსტის სრული ვერსია ხელმისაწვდომია – <https://drive.google.com/file/d/1m>

გარდა ამისა, მირანდა ერემადემ მოიწონა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის, დიმიტრი გვრიტიშვილის პოსტი², სადაც იგი ვენეციის კომისიის დელეგაციასთან შეხვედრის დეტალებს განიხილავს და აღნიშნავს: „გამოვთქვით წუხილი, რომ საქართველოს პარლამენტმა არ გაიზიარა ვენეციის კომისიის რეკომენდაცია – უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები თანამდებობაზე აერჩია იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, რაც გამო-რიცხავდა პროცესისგან პოლიტიკურ შემადგენელს. ამის ნაცვლად, არჩეულ იქნა შერეული და ორდონიანი მოდელი, სადაც საბჭო ახორციელებს კანდიდატთა ნომინირებას და საქართველოს პარლამენტი იღებს სა-ბოლო გადაწყვეტილებას. სწორედ ამით ისარგებლეს ჩვენმა ოპონენტებმა – გარკვეულმა პოლიტიკურმა ჯგუფებმა და არასამთავრობო სექტორმა, რომლებმაც 2018 წლის დეკემბრიდან დაიწყეს არნახული, ორკეს-ტრირებული შტურმი სასამართლო ხელისუფლებაზე. მათი „არსენალი“ მრავალფეროვანია: სიძულვილის, მუქარის და დამამცირებელი ენით საუბარი და საზოგადოებაში აგრესიის წახალისება მოქმედი მოსამართ-ლეების მიმართ, ცილისმწამებლური ვიდეოების დამზადება, დანაშაულების დაბრალება და სხვ.“

მირანდა ერემადემ ასევე მოიწონა დიმიტრი გვრიტიშვილის პოსტი³, რომელშიც იგი საუბრობს კომპანიების, Ipsos-ისა და Gorbis-ის თანამშრომლობის შედეგად სასამართლო სისტემის შესახებ ჩატარებული კვლევის თა-ობაზე: „აი, ასეთია კვლევის შედეგები. მკვლევართა ავტორიტეტი უდავოა და მხოლოდ ჯანეზაშვილისნაირებს შეუძლიათ მასში ეჭვის შეტანა! მკვლევარებმა ცალსახად დააფიქსირეს, რომ ეს არის კარგი შედეგები და რომ ქვეყანა, სასამართლოში განხორციელებული რეფორმების მეშვეობით, სწორი მიმართულებით ვითარდება!“

2. მირანდა ერემადემის საჯარო განცხადებები

ონლაინ წყაროებში, არ იძებნება კანდიდატ მირანდა ერემადემის საჯარო განცხადებები.

3. კანდიდატ მირანდა ერემადემის განსახილველი იუსტიციის უმაღლეს საბჭოში⁴

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის, სერგო მეთოფიშვილის შეკითხვა კანდიდატს: „ერთ-ერთ ქვეყანაში მიიღეს კანონი სიძულვილის ენის კრიმინალიზაციის შესახებ. თქვენ რას ფიქრობთ აღნიშ-ნულთან დაკავშირებით?“

კანდიდატის პასუხი:



ამ შემთხვევაში განსხვავებულია ამერიკული და ევროპული მიდგომები. მე მიმაჩნია, რომ ჩვენი კანონმდებლობა არის უფრო ამერიკული. მე არ ვემხრობი სიძულვილის ენის კრიმინალიზაციას და მიმაჩნია, რომ ამ შემთხვევაში უმჯობესი იქნება, სახელმწიფომ ირიბი ზემოქმედება მოახდინოს სა-ზოგადოებაზე, გაზარდოს ცნობიერება ამ კუთხით, რათა საზოგადოება არ იყოს ჰომოფობიური, ქსე-ნოფობიური და, შესაბამისად, მედიაც არ იქნება ამ შემთხვევაში სიძულვილის ენით გაჟღერებული.“



იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის, ლევან გვინიშვილის, შეკითხვა კანდიდატს: „კონსტიტუციის ახალ რედაქციაში, სხვა ცვლილებებთან ერთად, ერთ-ერთი ცვლილება იყო ოჯახის განმარტება. რო-გორ მიგაჩნიათ, როგორც მოქალაქეს, როგორც იურისტს, საჭირო იყო თუ არა ამ განმარტების გაკე-თება და ხომ არ მოდის წინააღმდეგობაში ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობასთან? და ზოგადად, ირღვევა თუ არა ჩვენს ქვეყანაში ლგბტ თემის ინტერესები? გქონდათ თუ არა სურვილი მონაწილეობა მიგელოთ პრაიდში?“

კანდიდატის პასუხი:

² პოსტის სრული ვერსია ხელმისაწვდომია: <https://drive.google.com/file/d/1f>

³ პოსტის სრული ვერსია ხელმისაწვდომია – <https://drive.google.com/file/d/1>

⁴ შენიშვნა: აღსანიშნავია, რომ კანდიდატისთვის გასაუბრების ეტაპზე შეკითხვები არ დაუსვამთ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრებს, ანა დოლიძესა და ნაზი ჯანეზაშვილს. ვინაიდან მათ საბჭოს სხდომა პროტესტის ნიშნად დატოვეს. არამოსამართლე წევრები მოითხოვდნენ კანდიდატებთან გასაუბრება ღამის საათებში, დაჩქარებულ რეჟიმში არ წარმართულიყო.



სურვილი არ მქონია, ვინაიდან ვთვლი, რომ მოსამართლემ თავი უნდა შეიკავოს მონაწილეობისგან. რაც შეეხება კონსტიტუციის დათქმას, მიმაჩნია, ჩვენი საზოგადოების ვითარებიდან, მოთხოვნიდან გამომდინარე არის ეს ჩანაწერი კონსტიტუციაში და მე ვთვლი, რომ არსებითად ეწერება თუ არ ეწერება კონსტიტუციაში, ეს რეალურ ვითარებას არ შეცვლის და არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. რაც შეეხება დისკრიმინაციას, არ ვიცი, არ მიფიქრია ამ საკითხზე, კონსტიტუცია იერარქიით უფრო მაღლა მდგომია, შესაბამისად ვთვლი, რომ კონსტიტუციის შესაბამისი უნდა იყოს კანონი და არა პირიქით“.



იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის, ირაპლი შენგელიას, შეკითხვა კანდიდატს: „როგორია ევროსასამართლოს მიდგომა ერთნაირსქესიანთა ქორწინებასა და მათ მიერ შვილის აყვანასთან დაკავშირებით?“

კანდიდატის პასუხი:



მოგესხენებათ, წლების განმავლობაში მიდგომები იცვლება. ეს გახლავთ ის საკითხი, რომელთან დაკავშირებთაც ევროსასამართლომ რადიკალურად შეცვალა პრაქტიკა. [...] თავიდან იყო მიდგომა კონვენციის შესაბამისად, რომ ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა, თუმცა, შემდეგ მიიღეს მეშვიდე დამატებითი ოქმი, სადაც მოხდა აღნიშნულის ამოღება და აღარ არის ხაზგასმა სქესთან დაკავშირებით. ასეთივე გახლავთ მიდგომა ევროკავშირის ხელშეკრულებაში. როდესაც ფუნქციონირება დაიწყო ლუქსემბურგის სასამართლომ და დღის წესრიგში დადგა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხის გადანყვეტა, ხელშეკრულებაში, რომელიც ევროპის ქვეყნებს შორის ურთიერთობებს აწესრიგებს, არაფერი არ იყო ნათქვამი ადამიანის უფლებების შესახებ. ამის შემდეგ მოხდა ევროპის ქარტიის მიღება, სადაც განისაზღვრა ეს უფლებები. აქაც არ არის არანაირი ხაზგასმა სქესზე. თვითონ საზოგადოების მიდგომა ამ საკითხისადმი, როცა სახელმწიფო იღებს გადანყვეტილებას, დაუშვას თუ არა ერთნაირსქესიანთა ქორწინება, საზოგადოების პოზიციის გათვალისწინება ხდება. საზოგადოების მოსაზრებები იცვლება. შესაბამისად, იცვლება სასამართლოს მიდგომაც. თუმცა, ბოლო მიდგომების გათვალისწინებით, ქორწინების ვალდებულება არ არსებობს, მთავარია, სამართლებრივი რეგისტრაციის უფლება მივცეთ ამ ადამიანებს, რაშიც მხოლოდ ქორწინება არ მოიაზრება. რაც შეეხება შვილად აყვანის თემას, ამასთან დაკავშირებითაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომა იმგვარია, რომ მხოლოდ ამ ნიშნით პირებს შვილი აყვანაზე უარი რომ ეთქვას, ეს არის დისკრიმინაციული და ასეთ შემთხვევაში არ არის დასაშვები. აქ მნიშვნელოვანი და არსებითი გახლავთ ის, რომ არ არის დამტკიცებული, ასეთ გარემოში ბავშვის გაზრდა გავლენას თუ მოახდენს ბავშვის აღზრდაზე. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი გახლავთ, შეფასდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესი. შესაბამისად, მხოლოდ ეს გარემოება შვილად აყვანაზე უარის თქმის საფუძველი არ გახლავთ.“



ირაპლი შენგელიას შეკითხვა კანდიდატს: „როგორ მოიქცევით, თუ კონვენცია და კონსტიტუცია ეწინააღმდეგება ერთმანეთს?“

კანდიდატის პასუხი:



ამ შემთხვევაში მზა რეცეპტი არ არსებობს. ერთი მხრივ, თუ გამოვიყენებთ კონსტიტუციას და არ გამოვიყენებთ საერთაშორისო ხელშეკრულებას, დავარღვევთ აღნიშნულ ხელშეკრულებას. ყველაზე კარგი გამოსავალი ამ შემთხვევაში არის ის, რომ კონსტიტუცია თანხმობაში იყოს ადამიანის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან, საერთაშორისო მოთხოვნებთან და ნორმებთან. გამოსავალთან მიმართებით მზა პასუხი არ არსებობს. თუ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციასთან, მაშინ კონსტიტუცია იერარქიულად უფრო მაღლა დგას, ვიდრე საერთაშორისო ხელშეკრულება ჩვენ გვაქვს იერარქია შემდეგი სახით: კონსტიტუცია, კონსტიტუციური შეთანხმება, ხოლო შემდეგ მოდის საერთაშორისო ხელშეკრულება. როდესაც გვაქვს წინააღმდეგობა, იერარქიულად უფრო მაღლა მდგომ აქტს ვიყენებთ.“



იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის, ირმა ბელაშვილის, შეკითხვა კანდიდატს: „ვთქვით, მთაწმინდის პარკში მიგყავთ შვილები სასაერთაშორისო და გხვდებით აბრა, რომ პარკში შესვლა საქართველოს მოქალაქეებისთვის არის 5 ლარი, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის – 10 ლარი. იქნება თუ არა ეს არათანაბარი მიდგომა, იქნება თუ არა ეს გამართლებული და შეიცვლება თუ არა რამე, თუ კი იქნება არა საქართველოს მოქალაქე, არამედ ქართველისთვის 5 ლარი და ყველა დანარჩენისთვის 10 ლარი?“

კანდიდატის პასუხი:

„ასეთი აბრები ბევრი მინახავს, საქართველოშიც და ევროპაშიც. იმისათვის, რომ შევაფასოთ არის თუ არა მიდგომა დისკრიმინაციული, შესაბამისად გვჭირდება, ვიცოდეთ, რა არის მიზანი, გონივრული, ობიექტური დასაბუთება. ევროპული მიდგომებიდან გამომდინარე, ვთვლი, რომ მნიშვნელოვანია, თუ რა მიზანს ემსახურება ამ შემთხვევაში განსხვავება. იმის გათვალისწინებით, რომ ევროპული მიდგომა ასეთია, ვფიქრობ, ეს მიდგომა დისკრიმინაციული არ გახლავთ. თუკი ეროვნებაზე იქნება საზგასმა, იქნება დისკრიმინაცია ეროვნების ნიშნით“.



ლევან გვრიტიშვილის, შეკითხვა კანდიდატს: „თქვენ ბრძანეთ, რომ უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია ნორმის განმარტება და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის დადგენაა. ხომ არ გეჩვენებათ, რომ ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა ზღუდავს მოსამართლის დამოუკიდებლობას?“

კანდიდატის პასუხი:

„არის ასეთი მოსაზრება, თუმცა, მიმაჩნია, რომ ამ შემთხვევაში ეს უფლება მოსამართლეს არ ეზღუდება. თუ ის იმდენად დაასაბუთებს თავის გადაწყვეტილებას და ისეთ სტანდარტს აწევს თავისი გადაწყვეტილების დასაბუთებისას და მის სანიშნაობაზე არ გუბნის ისე დაასაბუთებს, რომ ამაში დაარწმუნებს სხვა მოსამართლეებს, ამ შემთხვევაში პრობლემას ვერ ვხედავ.“



იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის, დიმიტრი გვრიტიშვილის შეკითხვა კანდიდატს: „თქვენი აზრით, რატომ ვართ ასე ერთსულოვანი მოსამართლეები, რატომ არ არის განსხვავებული მოსაზრება და რა საკითხზე უნდა იყოს განსხვავებული მოსაზრება?“

კანდიდატის პასუხი:

„როდესაც საუბარი ეხება სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობას, როგორ შეიძლება მოსამართლეებს შორის იყოს განსხვავებული აზრი. როდესაც თავს ესხმიან სასამართლო სისტემას, როდესაც საფრთხე ექმნება სისტემის დამოუკიდებლობას, იქ შეუძლებელია მოსამართლეს რაიმე განსხვავებული აზრი ჰქონდეს“.



6. კანდიდატის ფინანსური ვალდებულებები და შემოსავლები

1. ქონება (უძრავი/მოძრავი)



2018
მინის ნაკვეთი
მარტვილის რაიონში
6 000 ლ
(2010 კვ.მ.)



2018
მინის ნაკვეთი
მარტვილის რაიონში
6 000 ლ
(2481 კვ.მ.)



2014
სახლი თბილისში
202 400 ლ
(210,05 კვ.მ.)



2008
მინის ნაკვეთი
93 800 ლ
(450 კვ.მ.)



2008
ავტომობილს
TOYOTA YARIS
21 868 ლ

2. ფინანსები


2006–2018 წლებში მოსამართლე მირანდა ერემაძემ მოსამართლო საქმიანობიდან 648,726 ლარი მიიღო. საქალაქო სასამართლოში იგი 2006–2016 წლებში მუშაობდა და ამ პერიოდში მიღებულმა ანაზღაურებამ 462,384 ლარი შეადგინა, ხოლო 2016 წლიდან სააპელაციო სასამართლოში გადავიდა და 2018 წლის ჩათვლით, ჯამში 186,342 ლარი გამოიმუშავა. მის კარიერაში ყველაზე მაღალი ხელფასი 2017 წლით თარიღდება, მიღებულმა თანხამ 81,775 ლარი შეადგინა.

მოსამართლე მირანდა ერემაძის მეუღლე მალხაზ გრიგალავა კომერციული საქმიანობით არის დაკავებული. იგი შპს „დიარონის“ 100%-იანი წილის მფლობელი და ამავდროულად დირექტორია. მალხაზ გრიგალავა საკუთარი კომპანიისთვის ფართს შპს „გეგასგან“ ქირაობს, რომლის 92.5%-იანი წილი გრიგოლ ლეკვეიშვილის საკუთრებაშია. ბატონმა გრიგოლ ლეკვეიშვილმა 2017–2018 წლებში პარტია „ქართულ ოცნებას“ 107,000 ლარი შეწირა. შპს „გეგას“ გარდა, გრიგოლ ლეკვეიშვილის საკუთრებაში არაერთი კომპანიაა, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ სახელმწიფო ტენდერებში და საკმაოდ მსხვილ საბიუჯეტო კონტრაქტებს იღებენ. უკანასკნელი მონაცემებით, გრიგოლ ლეკვეიშვილის კომპანიებს 167 გამარტივებულ შესყიდვაში აქვთ მონაწილეობა მიღებული.

მირანდა ერემაძე და მისი მეუღლე 2010 წლიდან მოყოლებული ყოველ წელს იღებენ დიდი რაოდენობის სესხს, რომელთა დაფარვას ისევ ახალი აღებული საბანკო ვალდებულებით ახორციელებენ. ყველაზე დიდი სესხი მოსამართლემ 2015 წელს – 138,000 აშშ დოლარი ოდენობით და 2016 წელს – 140,000 აშშ დოლარის სახით აიღო.

ბოლო მონაცემების თანახმად, მირანდა ერემაძეს ორი მიმდინარე სესხი აქვს „საქართველოს ბანკში“ აღებული, რომლის ჯამური რაოდენობაც 19,860 ლარია. ხოლო მის მეუღლეს, მალხაზ გრიგალავას საბანკო ვალდებულება „TBC“ ბანკში უფიქსირდება, 193,000 აშშ დოლარის ოდენობით.

ერემაძის ოჯახის საბანკო ვალდებულებები:



მოსამართლე მირანდა ერემაძის დეკლარაციიდან აგრეთვე გაირკვა, რომ 2013–2014 წლებში, მისი მკურნალობისთვის გაწეულმა ხარჯებმა 12,000 ევროზე მეტი შეადგინა.



ავტორები: ედუარდ მარიკაშვილი, ანა ნაცვლიშვილი, გიორგი ბერაია, ირაკლი გვარამაძე, ზაზა აბაშიძე
 რედაქტორები: დავით პაიჭაძე, გიორგი ჩიტიძე, სოფიო ასათიანი, ინა გრიგალავაშვილი დიზაინი: ბენიკ დანელია
 ფონდი დოკუმენტის მომზადებაში შეტანილი წვლილისთვის მადლობას უხდის:
 სალომე კვირიკაშვილს, მარიამ ორუშონიას, ლაშა ჯღელს, თინათინ ჭაჭუკაშვილს, გვანცა კახიძეს,
 თეონა ბაბუციძეს, ხათია ნიკოლაიშვილსა და შოთა ქობალიას
 მომხადებელია საქართველოს ღია საგოგადობის ფონდის მიერ